რა პრის ისლამი?

რა არის ისლამი?

ლექსიკონის მიხედვით სიტყვა ისლამი გადარჩენას, ქედის მოხრას, მინდობას, მშვიდობას ნიშნავს. ისლამი უკანასკნელი სარწმუნოებაა, რომელიც კაცობრიობას მოევლინა. მუსლიმი ადამიანი, თავისი ნება-სურვილით, გულწრფელად აღიარებს ყველა იმ ბრძანებსა და შეზღუდვას, რომლებსაც ღმერთი აწესებს. მუსლიმი მთელი არსებით ღმერთზეა მინდობილი და ამ გზით სამუდამო გადარჩენას ეზიარება. ღვთიური ბრძანებებისა და აკრძალულების მიმდევარ ადამიანს, რომელიც ისლამს თავის სარწმუნოებად აღიარებს, მუსლიმი ეწოდება.

ისლამი იმ სარწმუნოების სახელია, რომელიც ღმერთმა შუამავალ მუჰამმედის (ს.ა.ვ) საშუალებით ადამიანებს გააცნო. ამასთანავე, ისლამი ყველა იმ სარწმუნოების საერთო სახელია, რომლებსაც ღვთის მიერ წარმოგზავნილი შუამავლე-

بسم الله الرحمن الرحيم
اللهم صل على محمد وعلى آل محمد
لا إله إلا الله محمد رسول الله

ბი ქადაგებდნენ. ყველა შუამავალი ერთი ღმერთის რწმენას ქადაგებდა და მისდამი მორჩილებას გვასწავლიდა. გამომდინარე აქედან, ყველა სარწმუნოება ერთ საერთო ხაზს მიჰყვება და სწორედ ეს არის ისლამი. ჰზ. ადამიდან მოყოლებული, ყველა შუამავლის მიერ ნაქადაგები ჭეშმარიტების საერთო სახელი ისლამია. შესაბამისად, ყველა შუამავალს ერთ და იგივე ჭეშმარიტება მოჰქონდა და ამ გზით ყველა მათგანი ისლამს ავრცელებდა. ამრიგად, ისლამი არის როგორც პირველი, ისე უკანასკნელი სარწმუნოება.

კაცობრიობის ისტორიიდან ცხადია, რომ შუამავლების შემდეგ ადამიანები ღვთურ გზავნილს და უნივერსალურ პრინციპებს ცვლიდნენ და ჭეშმარიტი გზიდან სცდებოდნენ. ისინი ცდილობდნენ სარწმუნოება თავიანთი ინტერესების გამტარებელ საშუალებად ექციათ. ღმერთი არ ტოვებდა ადამიანებს და ყოველ ჯერზე ახალ შუამავალს აგზავნიდა. მას სურდა, რომ ადამიანებისთვის უზენაესი ჭეშმარიტება მუდმივად შეეხსენებინა, ამიტომ შამავლებსა და ღვთიურ გზავნილებს ავლენდა. ღმერთმა უკანასკნელ სარწმუნოებად ისლამი მოავლინა. (იხ. მაიდე, 5/3). ისლამის გარდა სხვა სარწმუნოება მიღებული აღარ არის (იხ. ალი იმრანი, 3/85). ყურანის მოქმედება ქვეყნიერების დასასრულამდე გაგრძელდება. (იხ. ჰიჯრი, 15/9)

ისლამი არის რწმენის, თაყვანისცემის და ზნეობის სრულყოფილი სისტემა, რომელიც მოქმედებს განკითხვის დღემდე. ისლამის რელიგიის ყველა პრინციპი ღვთის მიერ დადგენილი ბუნებრივი წონასწორობის დაცვას ეხება. ისლამის მიზანია ადამიანებს საკუთარ თავთან, უფალთან და სხვა ადამიანებთან ჯანსაღი კომუნიკაციის დამყარებაში დაეხმაროს. ამრიგად, ისლამის პრინციპების დაცვა, დედამიწაზე მშვიდობისა და სამართლიანობის დამკვიდრების გარანტია, როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზე.

ადამიანი რომ მუსლიმი გახდეს, ამისათვის საჭიროა სწამდეს. რწმენა გულწრფელად დაჯერებას ნიშნავს. როდესაც შუამავალს ჰკითხეს, თუ რა იყო რწმენა, მან ასე უპასუხა:

„რწმენა, ღმერთის, ანგელოზების, წმინდა წიგნების, შუამავლების, განკითხვის დღისა და ბედისწერის არსებობის დაჯერებაა.
(იხ. მუსლიმ, „იმან“, 1)

ამრიგად, ისლამის მიხედვით რწმენას ექვსი პირობა გააჩნია. ვისაც ყველა ამ პირობის გულწრფელად სჯერა, მორწმუნე ეწოდება.

ექვსი პირობა, რომლებიც მორწმუნეს უნდა სწამდეს

1. ღვთის რწმენა. მორწმუნეს უპირველეს ყოვლისა უნდა სწამდეს, რომ არსებობს ერთადერთი ღმერთი, რომელსაც არ გააჩნია ტოლი და სწორი. ღვთის რწმენა ისლამის ძირითადი პირობაა და მას ყველა შუამავალი გვასწავლიდა. ღმერთი ყოვლისშემძლე, ყოვლად მოწყალე და ყოვლად სამართლიანია. სამყაროში მისი ნების გარეშე ვერაფერი მოხდება. ის ყველაფერს ხედავს და ყველაფერი იცის. მის არსებობას არ გააჩნია საწყისი და დასასრული. მისდამი რწმენა მის სიყვარულს, მთელი



გულით მინდობასა და მის მიერ დადგენილი წესებით ცხოვრებას საჭიროებს.

2. ანგელოზების რწმენა: ანგელოზები სინათლისგან შექმნილი არსებები არიან, რომლებიც ასრულებენ ალლაჰის მიერ დაკისრებულ სხვადასხვა მოვალეობას და უკითხავად ემორჩილებიან მის ბრძანებებს. მუსულმანის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი მახასიათებელი, რომელიც გულწრფელად არის მინდობილი უზენაესს, არის ის, რომ მას უხილავისაც სწამს. ანგელოზების რწმენაც ამის ერთ-ერთი ნიშანია. ანგელოზებს სქესი არ გააჩნიათ. ისინი არ იკვებებიან და არც იძინებენ. ყურანის ინფორმაციით ანგელოზებს ფრთები აქვთ, თუმცა ისინი ფრინველების მსგავს არსებებად არ უნდა წარმოვიდგინოთ.

3. წმინდა წიგნების რწმენა: ღმერთმა ყველა ღვთაებრივი წიგნი შერჩეულ შუამავლებს მოუვლინა და კაცობრიობას ამ გზით გააცნო. ამრიგად, თორა, ბიბლია და ყურანი, თავიანთი არსით ერთმანეთსგან არ განსხვავდება. მუსლიმს სწამს, რომ ყველა ღვთაებრივი წიგნი ღვთისგანაა მოვლენილი, არსებობს და ჭეშმარიტია. რწმენის ეს პირობა მხოლოდ შეუცვლელ ვერსიებს ეხება. მორწმუნე ვალდებული არ არის ადამიანების მიერ შეცვლილი და გადასწორებული ტექსტი იწამოს. ცნობილია, რომ ღვთური წიგნებიდან ერთადერთი შეუცვლელი წიგნი ყურანია. ამიტომ, ყოველი მუსლიმი აუცილებლად ვალდებულია სწამდეს ყურანი. ყურანის კითხვა,. მოსმენა, სწავლა და სწავლება, მუსლიმებისთვის როგორც მოვალეობა, ისე ღვთისმსახურებაა.

4. შუამავლების რწმენა: შუამავლები არიან ალლაჰის მიერ არჩეული ადამიანები და მათ დავალებული აქვთ ხალხისთვის ღვთაებრივი გზავნილის გადაცემა. შუამავლების რწმენა ნიშნავს იმის მიღებას, რომ ისინი არიან ღვთის მიერ წარმოგზავნილნი და ასევე უნდა გვჯეროდეს იმ გზავნილის, რასაც ისინი გვასწავლიან. მუსლიმებს ყველა შუამავლის უნდა სწამდეთ. ყველა შუამავალი ერთი ღმერთის რწმენას ქადაგებდა და მათ მიერ მოტანილი გზავნილი უნივერსალურია. გზავნილებს შორის განსხვავებები მხოლოდ იმ დეტალებშია, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს დროის მოთხოვნებისა და საზოგადოების მოლოდინების მიხედვით.



ეს შეესაბამება ადამიანის სოციალურ და ფსიქოლოგიურ სტრუქტურას და ცხოვრებისეულ რეალობას.

5. საიქიოს რწმენა: საიქიო სიკვდილის შემდგომ ცხოვრებას ეწოდება. სამყაროს აღსასრულის შემდეგ, ყველა ადამიანი, ვისაც ოდესმე უცხოვრია, ღვთის წინაშე წარსდგება და განკითხვას დაექვემდებარება. იქ გამოვლინდება ღვთაებრივი სამართლიანობა. ადამიანების გაკეთებული სიკეთე და ბოროტება უკლებლივ განიხილება. მჩაგვრელი და ჩაგრული, სამართლიანი და უსამართლო ერთმანეთისგან განცალკევდება და ყველა იხილავს სრულ საზღაურს თავისი ნამოქმედარის გამო. საიქიოს რწმენა რწმენის ერთ-ერთი პირობაა.

6. ბედისწერის რწმენა: სამყაროში რაც ხდება, დასაბამიდან უსასრულობამდე, ყველა მოვლენის მახასიათებლები, დეტალები, განვითარების ფორმები და დრო ღმერთმა უწყის და მის მიერვეა დადასტურებული. ამის აღიარებას და დაჯეებას ბედნისწერის რწმენა ეწოდება. რაც შეეხება „შემთხვევას“, ღვთის მიერ ოდითგანვე დადგენილი მოვლენის განხორცილების დრო რომ მოვა, ღვთის ნებით კონკრეტული მოვლენა განხორციელდება. ბედისწერის რწმენა სამყაროში არსებული ყველა მოვლენის ღვთის მიერ ცოდნასა და მისი ნებით განხორციელების დაჯერებას გულისხმობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბედისწერის რწმენა ადამიანის თავისუფალ

ნებას არ ზღუდავს. ღმერთმა ადამიანს გონება და არჩევანის უფლება უწყალობა. ადამიანი თავის არჩევანსა და ქმედებებში თავისუფალია. ის გონების საშუალებით კარგსა და ცუდს შორის არჩევანს აკეთებს და შესაბამისად მოქმედებს. აქედან გამომდინარე, ადამიანი თავის არჩევანსა და ქმედებებზე პასუხისმგებელია და შესაბამისად განიკითხება.

ისლამის ხუთი პირობა

შუამავალ მუჰამმედის (ს.ა.ვ) მიერ მოტანილი სარწმუნოების გულით დაჯერება, აღიარება და ისლამის დებულებების მიხედვით ცხოვრება მუსლიმობაა. ამრიგად, მუსლიმობა მხოლოდ რწმენის სისტემა არ გახლავთ. ის ამავდროულად ამ რწმენის შესაბამისად ცხოვრებასაც გულისხმობს.

როდესაც შუამავალს ჰკითხეს, თუ რა იყო ისლამი, მან ასე უპასუხა:

„ისლამი არის აღიარება იმისა, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია, ლოცვა, ზექათის გადახდა, რამადანის მარხვის დაცვა და თუ შესაძლებლობა არსებობს ქააბაში ჰაჯის შესრულება“. (იხ. მუსლიმ, „იმან“, 1)

ამ ჰადისის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ისლამს ხუთი პირობა გააჩნია.

1. შაჰადა: ისლამის პირველი პირობა გულით მიღებული რწმენის სიტყვიერად დადასტურებაა. რწმენის დეკლარირება შემდეგი სიტყვებით ხდება: „ეშჰედუ ენ ლაა ილაჰე ილლელლაჰ ვე ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ აბდუჰუ ვე რესულუჰ“. მისი მნიშვნელობა შემდეგია: „ვადასტურებ, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა და ასევე ვადასტურებ, რომ მუჰამმედი მისი მონა და შუამავალია“. ეს ყველაფერი მორწმუნემ ნებისმიერი გარეგანი ძალდატანების გარეშე, გულწრფელად უნდა წარმოთქვას.

2. ლოცვა (ნამაზი): შაჰადას შემდეგ მორწმუნეების უპირველესი ვალდებულება ლოცვის შესრულებაა. ლოცვა გარკვეული მოძრაობებითა და ასევე გარკვეული სიტყვების წარმოთქმით სრულდება. ლოცვა მორწმუნის მხრიდან გამჩენისადმი გულითად სიყვარულს, პატივისცემასა და თაყვანისცემას გამოხატავს. ლოცვა ასევე მოიცავს მადლიერებასა და ვედრებას.

3. ზექათი: რელიგიური საზომის მიხედვით მდიდარ მუსლიმს აქვს ვალდებულება, თავისი ქონების რაღაც ნაწილი ღარიბებს უწილადოს. ეს არის ზექათი. როგორც ნებისმიერი სხვა ღვთისმსახურება, ზექათიც მხოლოდ და მხოლოდ ღვთის კმაყოფილების მოპოვების მიზნით გაიცემა. ოქრო, ვე-

ცხლი, სავაჭრო საქონელი, სოფლის მეურნეობის პროდუქტები, პირუტყვი და სხვა მსგავსი შემოსავლის მომტანი აქტივების პატრონი, თუ რელიგიურად მდიდრის სტანდარტებს აკმაყოფილებს, ვალდებულია კონკრეტული წილი ღარიბებს უწილადოს. ზექათი, ე.წ. ქონებით შესრულებული ღვთისმსახურებაა. ზექათი ქონებას განწმენდს, ბარაქა მოაქვს და ამასთანავე საზოგადოებაში შემოსავლების ბალანსის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

4. მარხვა: მარხვა არის ღვთისმსახურების ფორმა, რომელიც სრულდება იმსაკის დროიდან მზის ჩასვლამდე და მორწმუნეს ჭამისგან, დალევისგან და სქესობრივი კავშირისგან თავის შეკავება ევალება. მარხვა სავალდებულოა ყველა გონებასრული და ზრდასრული მუსლიმანისთვის, რომელ-



მაც რამადანის თვეს მიაღწია, ანუ ეს არის ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს. მარხვის შესასრულებლად მუსლიმანმა უნდა იმარხოს არა მხოლოდ კუჭით, არამედ მთელი ორგანოებით. მორწმუნემ თვალი და ყური უნდა მოარიდოს არამს. ასევე უნდა მოერიდოს ბილწსიტყვაობას, ტყუილს, ცილისწამებას და ა.შ.

5. ჰაჯის შესრულება: ჰაჯი არის ღვთისმსახურება, რომელიც ქააბას, არაფატის, მუზდელიფასა და მინას, განსაზღვრულ დროში, მონახულებითა და გარკვეული რელიგიური მოვალეობების შესრულებით სრულდება. მუსლიმები, რომლებსაც აქვთ ფინანსური საშუალებები, ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა წავიდნენ ჰაჯზე. ჰაჯი წელიწადში ერთხელ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ მუსლიმებს აერთიანებს და საშუალებას აძლევს მათ, არამარტო გაეცნონ ერთმანეთს, არამედ ერთმანეთის პრობლემებიც გაიზიარონ. წელიწადის ამ დროს მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხიდან იკრიბებიან მუსლიმები და ერთად ლოცვა-ვედრებას აღავლენენ.

ისლამში ლოცვა, ზექათი, მარხვა და მომლოცველობა სავალდებულოა ყველა მუსლიმანისთვის, რომელიც აკმაყოფილებს აუცილებელ პირობებს. გარდა ამისა, მსხვერპლშეწირვა, ფითრის მოწყალების გაცემა, იტიკაფში შესვლა, ლოცვა, ყურანის კითხვა და ქველმოქმედება ასევე მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა.

ისლამის ნიშანი: მეჩეთი

ისლამში მეჩეთებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. მეჩეთები, რომლებიც ღმერთის სახლად ითვლებიან, ისლამის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიმბოლოდ განიხილება. როდესაც სადმე მეჩეთს ვხედავთ, ვხვდებით, რომ იქ მუსლიმები ცხოვრობენ. შუამავალი გვასწავლის, რომ მეჩეთე-

ბი ღმერთისთვის საყვარელი ადგილებია. (იხ. მუსლიმი, „ჯენაიზ“, 96) ამის გამო, როდესაც შუამავალი მექადან მედინაში გადასახლდა, მან აშენა კუბას მეჩეთი მედინაში მისვლამდე, ხოლო როდესაც მედინაში ჩავიდა, იქ მესჯიდი ნებევი, ანუ შუამავლის მეჩეთი ააშენა. მუსლიმები, რომლებმაც მაგალითად მიიღეს ჩვენი შუამავლის ეს ქმედება, სადაც საცხოვრებლად მკვიდრდებიან აუცილებლად მეჩეთებს აგებენ და მეჩეთში შესრულებულ ლოცვას უპირატესობას ანიჭებენ.

„მხოლოდ ის ააგებს ალლაჰის სამლოცველოებს, ვინც ირწმუნა ალლაჰი, დღე უკანასკნელი და აღავლინა ლოცვა, გაიღო ზექათი და არ აქვს შიში, გარდა ალლაჰისა. ეგების ჭეშმარიტ გზაზე მავალნი იყვნენ ეგენი!“ (თევბე, 9/18) ამრიგად, სალოცავების აშენება, მათი მოპირკეთება და მათ სისუფთავეზე ზრუნვა მუსლიმების მოვალეობაა.

სალოცავების აშენებას გვირჩევს შუამავალიც (იხ. ბუჰარი, „სალათ“, 65). ამრიგად, მუსლიმებისთვის სალოცვას დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ამიტომ მის მშენებლობაში შეძლებისდაგვარად წვლილი უნდა შევიტანოთ.

ისლამის სიმბოლო: ეზანი

ყოველი მეჩეთიდან დღეში ხუთჯერ ეზნის ხმა ისმის. ეზანი მუსლიმობის სიმბოლოა.

ეზანი ლოცვისკენ მოწოდებაა. ეზანი დღეშ ხუთ-

ჯერ მორწმუნეებს ახსენებს, რომ ღმერთი ერთია და მუჰამმედი მისი შუამავალია.

მინარეთებიდან წამოსული ეზნის სიტყვები და მნიშვნელობა შემდეგია:

ალლაჰუ ექბერ
ღმერთი დიადია. (4 -ჯერ)

ეშჰედუ ენ ლაა ილაჰე ილლელლაჰ
ვადასტურებ, რომ არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა. (2-ჯერ)

ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ რესულულლაჰ
ვადასტურებ, რომ მუჰამმედი ღვთის შუამავალია. (2-ჯერ)

ჰაიაღა ლეს-სელაჰ
მოდით ლოცვაზე. (2-ჯერ)

ჰაიაღა ლელ-ფელაჰ.
(მოდით გადარჩენისთვის. (2-ჯერ)

ალლაჰუ ექბერ
ღმერთი დიადია. (2 -ჯერ)

ლაა ილაჰე ილლელლაჰ
არ არსებობს სხვა ღმერთი, გარდა ალლაჰისა.

muslim georgia

muslim georgia